

ყვარლის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით
სარეკონსტრუქციო სამუშაოების
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურება

2013 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

საკონკურსო განცხადება

ტექნიკური დავალება.

ხელშეკრულების პროექტი

დანართი 4

საკონკურსო განცხადება

1. ყვარლის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
 2. კონკურსის მიზანია ყვარლის მუნიციპალიტეტში 2013 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საუკეთესო არქიტექტურული პროექტის გამოვლენა და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
 3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათას) ლარს.
 4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ- გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
 5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
 6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
 7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
 8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
- შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2013 წლის 18 აპრილს 11:00 საათზე .
 10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2013 წლის 18 აპრილს 15:00 საათზე.
 11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 18 აპრილს 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ყვარელი კუდიგორის ქ # 1, I სართული
 12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

15. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–სჩათვლით)
 გასაწევი მომსახურების სრული **არქიტექტურული (ნახაზები)** კონცეფცია.
 ინფორმაცია მომსახურების ვადის შესახებ;
 ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
 რეკვიზიტები;

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

1. არქიტექტურული კონცეფცია, დიზაინი: კოეფიციენტი – 0.8
2. საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2

შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 18 დღეში საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

21. წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

22. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

23. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: გელა სეფაშვილი 599 85 60 25

ტექნიკური დავალება

კახეთის რეგიონში მუკუზანი-ყვარელის საავტომობილო გზის მიმდებარედ მდ. "ალაზნის" ხიდთან ყვარლის მუნიციპალიტეტის შემოსავლელის სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო ღირებულება საორიენტაციო უნდა შეადგენდეს 200000 (ორასიათასი) ლარს

- ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მდ. "ალაზნის" ხიდთან ყვარლის მუნიციპალიტეტის შემოსავლელის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები. (იხილეთ ფოტომასალა)

კონკურსის შედეგად მიღებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განხორციელებული სამუშაოები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების პერსპექტივას.

- ძირითადი პირობები

საპროექტო სამუშაოების შემსრულებელი შემსყიდველთან შეთანხმებული ჩამონათვალის შესაბამისად, წარუდგენს კონკურსით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციას. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებელი სამუშაოების ანაზღაურებას.

- მუნიციპალიტეტის შემოსავლელის სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია:

1. საინფორმაციო ტურისტული ცენტრის შენობა ბარის სტილის სათავსოთი
2. საყრდენი კედელი
3. სასმელი წყლის ჭა, სასმელი წყლის შადრევანი
4. საპირფარეშო საკანალიზაციო ჭით
5. ელემენტარული უზრუნველყოფა

6. ელექტროენერგიით გასანათებელი წარწერები ქართულ და ინგლისურ ენებზე
7. არსებული ნაგებობების შეკეთება
8. ავტოპარკინგის ზონაში (ორენოვანი) საინფორმაციო დაფა
9. გარეგანათება, მინათება
10. მცირე არქიტექტურული ფორმები (სკამები, სანაგვეურნები, დეკორატიული ღობე)
11. ტერიტორიის კეთილმოწყობა
12. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

ინფრასტრუქტურის ობიექტის აღწერილობა:

სარეკონსტრუქციო ობიექტი ითვალისწინებს არსებული ნაგებობების შეკეთებას. საინფორმაციო ცენტრის შენობის განსათავსებლად საჭიროა საყრდენი კედლის მოწყობა; საინფორმაციო ცენტრის შენობის ფართობი შესაძლებელია შეადგენდეს 50-60 მ², რომელშიც მოთავსდება სველი წერტილი, დარბაზი მონიტორებით და ოთახი ფართობით 15 მ². შენობის გარე კედლები დასაშვებია იყოს შემინული ტიპის, შესაძლებელია მეორე სართულზე მოთავსდეს ბარის ტიპის ღია სათავსო მსუბუქი კონსტრუქციებისგან. ელექტროენერგიის წყარო სარეკონსტრუქციო ობიექტიდან მდებარეობს 1500 მ-ის მონაკვეთში; წარწერები, რომლებიც დამზადდება ორგმინისაგან პროპორციების შესაბამისად განათდება ელექტროენერგიით. მოეწყობა სასმელი ჭა, საიდანაც ელ-ტუმბის საშუალებით წყალი მიეწოდება სასმელი წყლის შადრევანს და სველ წერტილებს. მოეწყობა გარე საპირფარეშო საკანალიზაციო ჭით, რომელიც მთავარ გზატკეცილს დაუკავშირდება საავტომობილო მისასვლელი გზით. გასათვალისწინებელია ტერიტორიის კეთილმოწყობის (გაზონი, საფეხმავლო ფილები, ყვავილები, სკამები, ურნები) სამუშაოები. მოსაწყობია გარე განათება და მინათება.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებითი ბარათი
2. სიტუაციური გეგმა 1:250
3. საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა 1:500
4. ტერიტორიის გენერალური გეგმა 1:250
5. არქიტექტურული პროექტი (გეგმები, ჭრილები, ფასადები, 3D ვერსია)
6. კონსტრუქციული პროექტი
7. ელმომარაგების პროექტი (მაღალი ძაბვის ხაზი და ელ. მომარაგების სქემა)
8. წყალგაყვანილობა
9. კანალიზაცია
10. ხარჯთაღრიცხვა
11. რენდერები

საპროექტო დოკუმენტაციის ობიექტი უნდა იყოს ესთეტიკურად დახვეწილი და მაქსიმალურად ინტეგრირებული ბუნებრივ ლანდშაფტთან.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (DWG, PLN გაფართოების ფაილი – AchiCAD ან AutoCAD) ფორმატში.

საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 3000 ლარი არ განიხილება.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

შენიშვნა: დანართი 4 ის სახით დოკუმენტს ახსავს საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობა.

ხელშეკრულება №

ქ.ყვარელი

„----“ ----- 2013 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში “შემსყიდველად” წოდებული, წარმოდგენილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დავით ქვეხიშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ-----

----- (შემდგომში მიმწოდებელი) შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი არქიტექტურული (ნახაზები) მომსახურების შესაძენათ რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ----- სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება ----- ლარად შეასრულოს აღნიშნული სამუშაოები.

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 1.1 შემსყიდველი, მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს გაწეული მომსახურების ინსპექტირებას.
- 1.2 მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ მომსახურების კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
- 1.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.
- 1.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 1.5 შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
- 1.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.
- 1.7 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს:
 - ა) ----- ;
 - ბ) ----- ;
 - გ) ----- ;
 - დ) ----- ;

2. საქონლის მიწოდების პირობები

- 2.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **18 დღის** ვადაში უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის.
- 2.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.
- 2.3 მხარეები განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.
- 2.4 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

- 3.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 3.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

- 4.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
- 4.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.
- 4.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ– ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 4.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

5. ფასები

- 5.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 5.2 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 5.3 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
- 5.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
- 5.5 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

- 5.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

- 7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

8. სუბკონტრაქტორები

- 8.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
- 8.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 8.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
- 9.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,3 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

- 12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

- 14.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. გადასახადები და დაბეგვრა

- 16.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 16.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის ვადაში
- 18.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 18.4. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 18.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>„შემსყიდველი“</u>	<u>„მიმწოდებელი“</u>
ყვარლის მუნიციპალიტეტი	
ტელ: (+995) (252) 2-12-01	ტელ:
მისამართი: ქ. ყვარლი კუდიგორის ქ 1	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი“ ბანკის ყვარლის ფილიალი	
ბანკის კოდი – LBRTGE22	
ა/ნ – GE31 LB01 2014 5044 0960 00	
საიდენტიფიკაციო კოდი - 241578574	
„გამგებელი“	
_____ / /დავით ქევხიშვილი	